

წერილები გზიდან

მამობრივი სიყვარული ყველაზე გავრცელებული და ყველასათვის გასაგები მაგალითია ნამდვილი, სანუკვარი და საარაკო სიყვარულისა. მისი აზრი მზრუნველობა და პასუხისმგებლობაა. ერთმანეთის რჩევების გათვალისწინებით, თანასწორი დამოკიდებულებით მამა-შვილს შორის მეგობრული ურთიერთობა ყალიბდება. ურთიერთპატივისცემა მშობელსა და ქალიშვილს შორის მეტად დასაფასებელი და მოსაფრთხილებელია.

ჩემთვის ახლობელია მშობლის სუფთა, სპეტაკი სიყვარული და მისგან მიღებული მუხტი. ამიტომაც ერეკლე მეფის წერილმა ამაღელვა. მეფე-მამისა და თეკლე ბატონიშვილის ურთიერთობა მეტად აკადემიური, ოფიციალური, გაუცხოებული წარმოდგინა. შვეცდი. წერილში მამა ქალიშვილს მოფერებით თეკლა ბიჭს, დედის და მამის სიხარულს უწოდებს. ხოტბას ასხამს შვილის "ლამაზ კალიგრაფიას და თეკლას ბრძენ ქალს უწოდებს.

დავიმოწმებ არისტოტელეს სიტყვებს_ „გიყვარდეს- ეს ნიშნავს, რასაც სიკეთედ თვლი, გინდოდეს სხვისთვის, ანუ ვინც გიყვარს, იმისთვის“. როგორც ჩანს, მეფეს ბედნიერების „ფორმულად“ ღვთის მადლი, წყალობა და მშვიდობა მიაჩნდა. ვფიქრობ, ერეკლე მეფე ჩართული იყო შვილების აღზრდის პროცესში, ბავშვობიდან უზიარებდა სიტბოსა და სიყვარულს. ეთამაშებოდა, ასეირნებდა, ინტერესდებოდა წვრილმანი საკითხებით, იცნობდა შვილების ხასიათის თვისებებს და ესაუბრებოდა, როგორც ჩამოყალიბებულ, დამოუკიდებელ და თავისუფალ პიროვნებებს, ითვალისწინებდა მათ აზრს და მზრუნველობას არ აკლებდა.

მეფის ასულს თურმე ძალიან ჰყვარებია ტკბილეული. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მისთვის განსხვავებულად გემრიელი იყო მშობლების გამოგზავნილი ბროწეული და შაქარყინული. როგორც ჯემალ ქარჩხაძე წერს მოთხრობაში „ბიძაჩემი იონა“, დრო უხამსი და მუხანათია. თუმცა, მეფე-მამისა და ქალიშვილის ურთიერთპატივისცემა ისე გაჯიუტებოდა დროის დინებას, იოტის ოდენადაც არ შეცვლილიყო. ერეკლე მეფეს თეკლე ბატონიშვილი კვლავ პატარა გოგონად მიაჩნდა, რომელსაც მშობლის ყურადღება სიხარულის ნიაღვართან გაეგივებინა. მამისთვის ქალიშვილი კვლავ ბროლივით ქათქათა და მზესავით ხელუხლებელი იყო.

ჩემი წარმოსახვით, მამას და შვილს საიმედო აბჯარი ეცვათ და შიში არაფრისა ჰქონდათ. მათ ერთმანეთის იმედი აძლიერებდათ, რომელიც მძინარე ბავშვის ნიკაპზე ჩამოღვეთილი ნერწყვივით წმინდა იყო. ჩემი აზრით, ერთმანეთის წერილების კითხვისას ისე გაიშლებოდა მათი სულები, როგორც ყვავილი გადაუშლის გულს მზის სხივებს.

ერეკლეს მეფობის დროს დიდი ამბები ტრიალებდა ქართლში. დიდი ამბები ტრიალებდა მეფის გულში. და არავინ უწყის, ამ ამბებთაგან რომელი უფრო დიდი იყო... რადგან, სიყვარული უცხო ზღაპარია და ყველაფერზე მაღლა დგას. თავად ქვეყანაზე მაღლადაც კი.

ქვეყანა ძლიერთ ეკუთვნით, ძლიერთ და კეთილშობილთ. კეთილქმნულება თავისთვად ძლიერებას მოიაზრებს, რადგან კეთილ ადამიანს სიყვარული შეუძლია.

დოკუმენტის საშუალებით ჩემი წარმოსახვა გაცდა ისტორიის „მშრალ“, უემოციო ფურცლებს და დავრწმუნდი, რომ მეფე-მამისა და ქალიშვილის სიყვარული დღესაც თავისუფლად დაფრინავს ცაში, ის გაბმულია ყოველდღიურ საქმიანობაში და სიტბო შეაქვს ოჯახში.

ნანუკა გოგბერაშვილი. 15 წლის. ქალაქ ფოთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის #3 საჯარო სკოლა. X კლასი